

ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემის სტანდარტი

თამარ კალხიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კალხიტაშვილი

6 ივლისი, 2015

აბსტრაქტი

საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ქართველ მეცნიერთა მიერ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან შექმნილი კრიტიკული გამოცემების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მათი საერთაშორისო ეპიგრაფიკული საზოგადოების კვლევის საგნად ქცევისათვის, აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შეიქმნას საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების ელექტრონული გამოცემა - კორპუსები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემის საერთაშორისო სტანდარტების და მათი ზედმიწევნითი დაცვით შექმნილი არმაზის ბილინგვის ელექტრონული ეპიგრაფიკული გამოცემის (იხ. დანართი და [ვებგვერდი](#)) გაცნობა და ამ საკითხის გარშემო მსჯელობის დაწყება. სტანდარტის მიხედვით პირველი ეპიგრაფიკული ელექტრონული გამოცემის მოსამზადებლად გარდა კვლევითი სამუშაოსი, საჭირო გახდა რიგი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა (არმაზული არამეულის დიპლომატიურ გამოცემაში შესაბამისი ფონტით წარმოდგენა, გათხრების რუკის დართვა და ა.შ.)

ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური ტექსტების გამოცემის პირველი საერთაშორისო სტანდარტი 1931 წელს შეიქმნა და ლაიდენის კონვენციის სახელითაა ცნობილი. 2000 წლიდან ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში იქმნება ერთიანი რეკომენდაციები ეპიგრაფიკული ძეგლების TEI-სა (Text Encoding Initiative) და XML-ში (Extensible Markup Language) სტრუქტურული აღწერისათვის. რეკომენდაციების ერთობლიობა დღეს EpiDoc-ის სახელითაა ცნობილი და მის განვითარებაში ყოველდღიურად არიან ჩართული ლონდონის კინგს კოლეჯის, ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულების მკვლევრები. EpiDoc-ის წესების ერთობლიობა თავდაპირველად იქმნებოდა ლაიდენის კონვენციის მიხედვით გამოცემული წყაროების ციფრული დოკუმენტირებისათვის. თუმცა დღეს EpiDoc საზოგადოება ყოველწლიურად ფართოვდება და, შესაბამისად, ციფრული გამოცემის წესებში აისახება ახალი საკვლევ ძეგლებისა და გამოცემების თავისებურებები. დღეისათვის მოქმედებს EpiDoc-ის მერვე რედაქცია.

სამეცნიერო ღირებულების თანამედროვე ეპიდემიოლოგიური გამოცემის შექმნისათვის აუცილებელია როგორც EpiDoc საზოგადოებასთან, ასევე ევროპის ძველი ბერძნული და ლათინური ეპიდემიოლოგიის ქსელ EAGLE Europeana-სთან თანამშრომლობა(ქსელი შექმნილია ევროკომისიის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების პოლიტიკის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში).

EAGLE მუშაობს EpiDoc სტანდარტის მიხედვით შექმნილი ელექტრონული გამოცემების ე.წ. Linked Data-ს (ბმულებით დაკავშირებული მონაცემები) პრინციპით გაერთიანებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ EAGLE ცდილობს სამეცნიერო გამოცემებზე წვდომა ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის მაქსიმალურად გააადვილოს. EAGLE მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს კვლევით დაწესებულებებთან და მათ მონაცემთა ბაზების გამართვაში ეხმარება; ევროპის ეპიდემიოლოგოსთა საზოგადოებამობილურ აპლიკაციებს ქმნის არა მხოლოდ საკუთარი პროექტების, არამედ კვლევითი ორგანიზაციების გამოცემებისათვისაც.

ძირითადი თემატურ საძიებო სიტყვები: ლაიდენის კონვენცია, ციფრული ეპიდემიოლოგია, EpiDoc სტანდარტი, ეპიდემიოლოგიური კორპუსი